community

The New Apostolic Church around the world

02/2016/GE

გავიმარჯვოთ ქრისტესთან ერთად:

ღვთისმოშიშება და ნდობა

ღვთისმსახურება ბრაზილიაში: ვაღიაროთ რწმენა

კატეხიზმოდან: საიდუმლონი

კითხვები და პასუხები: სიცოცხლე სიკვდილის შემდეგ

New Apostolic Church
International

ღვთისმოშიშება და ნდობა

საერთაშორისო ახ.ს.ე.

საყვარელო და-ძმანო,

2016 წლის დევიზია „გავიმარჯვოთ ქრისტესთან ერთად“. ეს ეხება აგრეთვე, და ალბათ პირველ რიგშიც კი, ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებას. ეს წინადადება მრავალ ასპექტს შეიცავს; აქედან ერთი მთავარი პუნქტი მინდა გამოვყო: ღვთისმოშიშება და ნდობა ქრისტესთან ერთად გამარჯვების შემადგენელი ნაწილია. ღვთისმოშიშება ღმერთის, შემოქმედისა და მამაზეციერის, პატივისცემასა და მის წინაშე მოწიწებას ნიშნავს. მოდით, მთელი ცხოვრების მანძილზე მას მივენდოთ, ავბედით დღეებშიც კი.

ამასთან დაკავშირებით რამოდენიმე მაგალითი წმიდა წერილიდან:

- იოსებმა ცოდვის დაძლევა ღვთისმოშიშებით შეძლო. მას, როგორც ღვთისმოსავ ადამიანს, კარგად ესმოდა, რომ ღმერთი ხედავდა მას და მასთან იყო. ის წინაღუდგა ცდუნებას, საქმე არ დაიჭირა სხვის ცოლთან და საპყრობილეშიც კი, ყველასგან მივიწყებული, ღმერთის ერთგული დარჩა. და ბოლოს, დადგა მომენტი, როცა ღმერთმა გაანთავისუფლა იგი.

  დღეს ჩვენც ვიცით, რომ ღმერთი ყველაფერს ხედავს და ყველაფერი იცის. ამიტომაც, მოვერიდოთ ცოდვას და მივენდოთ ღმერთს: ის არ დაგვივიწყებს!

- მოსე იყო კაცი, რომელიც სრულად ენდობოდა ღვთიურ საქმეებს. ის ფარაონის წინააღმდეგ აწარმოებდა ბრძოლას, რომელიც თავიდან უიმედო ჩანდა. ამის მიუხედავად მოსეს არ დაუკარგავს ღვთისადმი ნდობა მაშინაც კი, როცა ეგვიპტის მეფემ ცხრაჯერ უთხრა უარი ისრაელის ხალხის გაშვებაზე. ბოლოს კი მოსემ ხალხს უბრძანა, რომ ქვეყნიდან გასვლისათვის მომზადებულიყვნენ - ყველა დაემორჩილა მას და ღმერთმა გაანთავისუფლა ისინი.
  და დღეს? რამდენჯერ მოგვეცა იმის შესაძლებლობა, რომ ღვთის ძალა განგვეცადა?! მოდით, მიუხედავად ბოროტის თავდასხმებისა ღმერთს მივენდოთ და დავემორჩილოთ მას.

- პავლე იძულებული გახდა თავიდან ბოლომდე შეცვლილიყო. ყველაფერი, რაც მას მანამდე წმიდად მიაჩნდა, უცბად კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა და უმნიშვნელო გახდა. მაგრამ მან იწამა და მიენდო ღმერთს, მალე ის ღვთის ხელში ინსტრუმენტად იქცა და ისე გააგრძელა გზა, და უფლის თემი ხსნისკენ წაიყვანა. თავად ღვთის ძემ მიავლინა იგი მოციქულად და სახარების მაუწყებლად ქვეყანაზე.

  ჩვენც ასე ვართ დღეს. ღმერთი გვაგზავნის მთელ მსოფლიოში იმ მიზნით, რომ მტკიცედ დავიცვათ იესოს აღდგომის, მისი ზეცად ამაღლებისა და მეორედ მოსვლის სასიხარულო ცნობა და ხმამაღლა ვილაპარაკოთ ამაზე. ქრისტე მოვა - ასეა აღთქმული!

მოდით, მოწიწებით დავემორჩილოთ ღმერთს - ნებისმიერ ცხოვრებისეულ სიტუაციაში, ყოველთვის და მთელი ცხოვრების მანძილზე. ჩვენ ვიცით, რომ ის ყველაფერს ხედავს და ყველაფერი იცის. შეგვიძლია მივენდოთ მის ძალას. და მაშინ ქრისტესთან ერთად გამარჯვებაშიც დავრწმუნდებით!

მთელი გულით მოგესალმებით მსოფლიოს ყველა მოციქულთან ერთად,

განსაცდელის მიუხედავად ჩვენ ვაღიარებთ ჩვენს რწმენას

ფოტო: ბრაზილიის ახ.ს.ე.

კორკოვადო 710 მ. სიმაღლისაა, ეს არის მთა, რომელზედაც ქრისტეს ქანდაკება ქრისტო-რედენტორი დგას და საიდანაც რიო დე-ჟანეიროს მშვენიერი ხედი იშლება. 2015 წლის 28 ოქტომბერს პირველმოციქულმა შნაიდერმა სწორედ ბრაზილიის ამ მეტროპოლში ჩაატარა საზეიმო ღვთისმსახურება.

1. კორ. 16, 9

„ვინაიდან ჩემთვის ღიაა ღვაწლის ფართე კარი და მოწინააღმდეგენიც მრავლად არიან.“

ჩემო საყვარელო და-ძმანო, ჩვენი დღევანდელი სიტყვა პავლემ კორინთელებს მისწერა. ის იმ მოღვაწეობაზე ლაპარკობდა, რომელიც ჯერ კიდევ წინ ჰქონდა. ერთ-ერთი მოგზაურობის დროს იგი ეფესოში გაჩერდა და გადაწყვიტა, რომ იქ თემი დაეარსებინა. ამის შემდეგ კორინთელებს მისწერა: „ახლა მე ეფესოში ვარ და ისეთი გრძნობა მაქვს, რომ მოღვაწეობისათვის შესანიშნავი შესაძლებლობა მომეცა, თუმცა ბევრი მოწინააღმდეგეც არის აქ.“ ამასწინათ ამ სიტუაციაზე ვფიქრობდი და ძალიან საინტერესოდ მომეჩვენა. გადავწყვიტე მეტი გამეგო ამის შესახებ. ისტორიას იმის თაობაზე, თუ როგორ დაარსა პავლე მოციქულმა ეფესოში თემი, ბიბლიაში ვხვდებით, კერძოდ კი - მოციქულთა საქმეში, 19-ე და 20-ე თავებში. როცა ეს წავიკითხე, თქვენ გამახსენდით, ჩემო ძმებო და დებო აქ ბრაზილიაში, ვინაიდან სიტუაცია აქაც მსგავსია. და ვიფიქრე, რომ ეს სიტყვა კარგი იქნებოდა დღევანდელი საღამოსათვის.

მაშ ასე: პავლე მივიდა ეფესოში, რათა იქ ეკლესია დაეარსებინა. ესე იგი, მან აღიარა თავისი რწმენა და ადამიანებს სახარება უქადაგა. ეფესო უზარმაზარი ქალაქი იყო, ერთ-ერთი ყველაზე დიდი იმჟამად. იქ 100 000-ზე მეტი კაცი ცხოვრობდა, მაგრამ მხოლოდ 12-მა მიიღო პავლეს მოწმობა. ასმა კი არა, ორმოცდაათმა კი არა, არამედ მხოლოდ თორმეტმა (საქმე 19, 7). ასე იყო საქმე! და მიუხედავად ამისა, პავლემ დიდებული შესაძლებლობა დაინახა იქ მოღვაწეობისათვის. მან ფარ-ხმალი კი არ დაყარა, არამედ ასე გაიფიქრა: „რამეთუ ღმერთმა გამომგზავნა აქ, ეს იმას ნიშნავს, რომ რაღაც უნდა გავაკეთო ამ ადგილას.“ მოწინააღმდეგენი კი, მართლაც, ბევრი ჰყავდა მას.

ჩვენ დიდებული შესაძლებლობა გვაქვს იმისათვის, რომ რაღაც გავკეთოთ უფლის საქმეში. მსოფლიო მასშტაბით ეს ყველგან ძალაშია.

თავიდან ის იუდეველებთან მივიდა. იქ იყო ერთგულ იუდეველთა ერთი ჯგუფი და პავლე მათ იესო ქრისტეზე, ღვთის ძეზე და თავის, როგორც ქრისტეს მოციქულის, მისიაზე დაელაპარაკა. თუმცა წმიდა წერილში ვკითხულობთ, რომ „ზოგიერთები გაჯიუტდნენ და არ ირწმუნეს“ (საქმე 19, 9). ისინი მტკიცედ იცავდნენ თავიანთ ტრადიციებს და ამიტომაც არ მიიღეს უწყება იმის შესახებ, რომ იესო ქრისტე ღვთის ძეა, ხოლო პავლე ქრისტეს მოციქული. მე ვიცი, რომ ღვთის შვილთა გუნდი აქ ბრაზილიაში - ქვეყნისა და ამ ქალაქის მოსახლეობის რაოდენობასთან შედარებით - მცირეა. თქვენ მცდელობას არ აკლებთ, რომ იუწყოთ თქვენი რწმენა, მაგრამ ბევრი ერთგული ქრისტიანი არ იღებს ამ ახალ უწყებას. ისინი თავიანთი რწმენისა და ტრადიციების გავლენის ქვეშ არიან მოქცეულნი. და როცა თქვენ ეუბნებით, რომ ცოცხალი მოციქულები გყავთ და, რომ იესო მეორედ მოვა და საიქიოში მყოფ სულებს ხსნას შესთავაზებს, გპასუხობენ: „არა, ეს უცხოა ჩვენი ტრადიციებისათვის, უცხოა ჩვენთვის. ამას ვერ ვირწმუნებთ. ჩვენ ჩვენს რწმენაზე დავრჩებით.“ მე მგონი ამ შემთხვევაში დაჟინებას აზრი არა აქვს. ეს თქვენ ჩემზე უკეთ იცით. ისინი მტკიცედ იცავენ თავიანთ რწმენას და ჩვენ, შეიძლება ითქვას, ჩვენი ბრძოლის წარმოება გვიწევს ამგვარ განწყობასთან. ესე იგი, პავლეს პირველი პრობლემა ის იყო, რომ მხოლოდ რამოდენიმე კაცმა მიიღო მისი უწყება.

მეორეც, იმათ, ვინც ისედაც მტკიცედ იყო ჩანერგილი თავის რწმენაში, არ სურდათ მისი დათმობა. მაშინ პავლე მოციქულმა კიდევ ერთ ჯგუფს მიმართა. იუდეველთა შორის იყვნენ „მოხეტიალე შემლოცველებიც“, რომლებიც იესოს სახელს ბოროტად იყენებდნენ ადამიანთა განკურნების მიზნით (საქმე 19, 13). ეს პავლესათვის დიდი პრობლემა იყო. ისინი ბოროტად იყენებდნენ იესო ქრისტეს სახელს. ვფიქრობ, ჩვენც კარგად გვესმის, რომ ბევრი ადამიანი დღესაც ბოროტად იყენებს იესოს სახელს, რათა ცხოვრება თითქოსდა უფრო სასიამოვნო გაუხადონ სხვა ადამიანებს. ისინი მათ ჰპირდებიან : „თუ ჩვენს ეკლესიაში მოხვალ და იესო ქრისტეს მიმდევარი გახდები, გამდიდრდები. ყველა შენი პრობლემა ჰაერში გაიფანტება და ამქვეყნიური კურთხევა გექნება.“ პრობლემაც ის არის, რომ სახარებაში ეს არ წერია. იესოს ამქვეყნად მოსვლის მიზეზი ეს არ არის. მაგრამ ამგვარ აზროვნებასაც უნდა გავუმკლავდეთ. და თუ შეგვეკითხებიან: ხდება თუ არა თქვენს ეკლესიაში განკურნებანი ან თუ ლოცულობთ სასწაულებისთვისო? ასე უნდა ვუპასუხოთ: „არა, ჩვენ ქრისტეს მეორედ მოსვლისთვის ვამზადებთ სულებს.“ ძნელია, ჩვენი ამ უწყებით დავაინტერესოთ ისინი.

მესამე პრობლემა, რომელიც პავლეს ეფესოში ჰქონდა, იყო ის, რომ იგი რამოდენიმე საქმოსანს გზაზე გადაეღობა. სამჭედლო საქმე, რომელიც კარგად იყო აქ განვითარებული, ჰყვაოდა; ვაჭრობდნენ ქალღმერთ დიანას ტაძრის ვერცხლის ქანდაკებებით, რასაც კარგი მოგება მოჰქონდა. შეიკრიბნენ ხელოსნები და მათი შეგირდები და ამბობდნენ: „ვერ დავუშვებთ, რომ ამ კაცის ქადაგებებმა ჩვენი საქმიანობა შებღალოს“,

და მისი გაძევება მოინდომეს. ასეთი სული დღესაც ნაცნობია ჩვენთვის, იგი ყოველთვის მხოლოდ ფულზეა ორიენტირებული. ბევრი ასე ამბობს: „ფული უნდა ვიშოვოთ, რომ რაღაც გადავინახოთ. იცით ალბათ, რომ ამ ფულის საშოვნელად დიდი შრომაა საჭირო. ღმერთისათვის დრო აღარა გვაქვს.“ სხვებისათვის კი სახარება საფრთხესაც კი წარმოადგენს მათი საქმიანობისათვის, რადგან ასე ფიქრობენ: „შეუძლებელია კაცმა ქრისტეს სახარებისამებრ იცხოვროს და თან საქმეები აწარმოოს. ოღონდ ნუ მეტყვი, რომ პატიოსანი ვიყო. ნუ მაწუხებ ამგვრი რაღაცეებით. არაფერი საერთო არ მინდა მქონდეს ამ ყველაფერთან. მე ფულის შოვნა მინდა.“ ქრისტეს სახარება ხელს უშლის მათ საქმიანობაში. მაშინ სწორედ ასეთმა ხალხმა არ მიიღო სახარება. ესე იგი, ეს ის გარემო იყო, რომელთანაც პავლეს ურთიერთობა უწევადა.

პრინციპში მას შეეძლო ეთქვა: „რახან ასეა, ყველაფერს დავივიწყებ, უბრალოდ რთულია ეს ყველაფერი. უმრავლესობას თავის ძველ ტრადიციებში დარჩენა სურს და არ იღებს ახალ უწყებას. სხვებს კი იესო ქრისტე იმდენად აინტერესებთ, რამდენადაც უკეთეს ცხოვრებას ჰპირდებიან მისი მეშვეობით. დანარჩენებს კი მხოლოდ ფულის შოვნა უნდათ.“ თუ დავფიქრდებით ამაზე, პავლეს რეაქცია მით უფრო საინტერესო ხდება: „ვინაიდან ჩემთვის ღიაა ღვაწლის ფართე კარი.“ მან აქ დიდი შესაძლებლობა დაინახა სამოღვაწეოდ. ამის შესაძლებლობა მას მისმა დიდმა რწმენამ მისცა. ის ფიქრობდა: „რადგან ღმერთმა ამ ქალაქში გამომგზავნა, ე. ი. მას სურდა, რომ აქ გამეწია ჩემი ღვაწლი.“

და-ძმანო, იგივე ჩვენც გვეხება აქ და დღეს. ჩვენ დიდებული შესაძლებლობა გვეძლევა, რომ უფლის საქმისათვის რაღაც გავკეთოთ. ეს მთელ მსოფლიოში ყველგან ასეა. „როგორ შემიძლია ამის თქმა“, იკითხავს ალბათ ზოგიერთი ახლა. ეს ძალიან მარტივი ასახსნელია: უფალი იესო ჯერ კიდევ არ მოსულა იმიტომ, რომ მისი საქმე ჯერ არ არის დასრულებული.

მან მოციქულები მოავლინა დედამიწაზე, რათა აქ ემოღვაწათ მათ. როცა დასრულდება მისი ეს საქმე, უფალიც მაშინ მოვა კვლავ. და ის, რომ იგი ამდენი ხანი არ მოდის, იმას ნიშნავს, რომ ჯერ კიდევ არის სამუშაო. ხოლო მოციქულთა მოღვაწეობა ამქვეყნად იმის ნიშანია, რომ ჩვენ კიდევ გვაქვს შესაძლებლობა, ვიშრომოთ და ვიუწყოთ სახარება.

ჯერ კიდევ შესაძლებელია - და ეს ღვთის ნებაც არის -, რომ ადამიანები ღვთის შვილები გახდნენ. და ვიდრე მოციქულები ამქვეყნად იღვწიან, ეს ასე იქნება. და ვინაიდან აქ, თქვენს ქვეყანაშიც, მოღვაწეობენ მოციქულები, ვფიქრობ და მჯერა, რომ აქაც, თქვენს ქვეყანაში, ჯერ კიდევ შესაძლებელია ეს.

მოდით, ვაჩვენოთ, რომ ღმერთთან ერთად შეუძლებელი არაფერია.

მოდით, ვნახოთ, როგორ მოახერხა ეს პავლემ. პირველ რიგში, ის განუწყვეტლივ ლაპარაკობდა იესო ქრისტეზე და აღიარებდა თავის რწმენას. ღმერთი ჩვენგანაც მოელის ამას. უნდა ვაღიაროთ ჩვენი რწმენა. რა თქმა უნდა, სანაპიროზე არ უნდა ვირბინოთ და იქ არ უნდა მოვუყვეთ ადამიანებს ჩვენი რწენის შესახებ. ამ დროს არავინ მოგვისმენდა და მასხრადაც აგვიგდებდნენ. მაგრამ ჩვენს გარემოცვაში სრულიად ბუნებრივი იქნებოდა ამაზე საუბარი, მაგალითად: „იცი, მჯერა, რომ ღმერთი დამეხმარა. ხომ იცი, რომ ამ ბოლო კვირას პრობლემები მქონდა. ეკლესიაში წავედი და იქ მივიღე ძალა და ნუგეში.“ ამ დროს არავინ გაიცინებს, შეამჩნევენ რა, რომ „მართლაც, ბოლო კვირას დაღონებული იყო, ახლა კი ბევრად უკეთესად გრძნობს თავს.“ და რატომ? იმიტომ, რომ ღვთისმსახურებაზე ვიყავით. ჩვენ სრულიად ბუნებრივად შეგვიძლია ასევე ჩვენს სარწმუნოებრივ განცდებზე ვისაუბროთ. ამით ერთ მარცვალს დავთესავთ. მოდით, ისე მოვიქცეთ, როგორც პავლე მოიქცა. მისთვის ბუნებრივი იყო მის რწმენაზე, მის გამოცდილებებზე და იმაზე საუბარი, თუ როგორ დაეხმარა მას უფალი.

პავლემ კიდევ რაღაც გააკეთა. ღმერთმა მისი მეშვეობით საოცარი სასწაულები მოახდინა (საქმე 19, 11). ხალხი ამბობდა: „ის სასწაულებს ახდენს. ის ღვთის კაცი იქნება.“ ვიცი, რომ არც ერთ ჩვენთაგანს - მათ შორის მეც - ადამიანების განკურნება არ შეუძლია. მაგრამ ეს ის სასწაული არ არის, რომელსაც ღმერთი ჩვენგან მოითხოვს. სასწაულები, რომელთა მოხდენაც ჩვენ შეგვიძლია, იმგვარია, რომლებსაც ადამიანები შეუძლებლად მიიჩნევენ. ისეთი უჩვეულო რაღაცეების გამოსხივება, როგორიც არის მშვიდობა და

სამყაროში, რომელიც სულ უფრო ეგოისტური ხდება, ჩვენ მოყვასის ჭირისა და ლხინის გაზიარება შეგვიძლია.

საიმედოობა მაშინაც კი, როცა ჩვენს ცხოვრებაში ბობოქარი სიტუაციებია. მადლიერი და ერთგული ვიყოთ ღვთისა მაშინაც კი, როცა ჩვენს ცხოვრებაში ყველაფერი თავდაყირა დგას. ეს არის ის, რაც ბევრ ადამიანს არ ესმის და ამბობს: „პრინციპში ის შეწუხებული უნდა იყოს და მიწაზე გართხმული. და მიუხედავად ამისა, მშვიდობასა და საიმედოობას ასხივებს.“ ბევრი ადამიანისათვის ეს სასწაულია. ამგვარი სასწაულების მოხდენა კი ყველა ღვთის შვილს შეუძლია.

კიდევ ერთი სასწაული ის ფაქტია, რომ მიუხედავად დიდი განსხვავებებისა ჩვენ ერთნი ვართ რწმენასა და სიყვარულში. როცა ადამიანები ჩვენს თემებს უყურებენ, უკვირთ: „ისინი ყველა ისე განსხვავდება ერთმანეთისგან. არიან მდიდრები და ღარიბები, განათლებულები და ნაკლებად განათლებულები, და ყველა ერთია. როგორ ახერხებენ ამას?“ განსაკუთრებით დღეს არის ეს სასწაული. ადამიანებს არ ესმით, როგორ ვახერხებთ ამას. ხედავთ, ჩვენც შეგვიძლია სასწაულების მოხდენა?! უმრავლესობისათვის აბსოლუტურად უჩვეულოა ის, როცა მივუტევებთ იმათ, ვინც გული გვატკინა. ზოგი ალბათ ამასაც გვეტყვის: „გაგიჟდ?! ეს შეუძლებელია. ნორმალური ადამიანი ამას არ იზამდა.“ ამაზე ასე შეგვიძლია ვუპასუხოთ: „ნამდვილად, ეს შეუძლებელია, მაგრამ ჩემს ღმერთთან ერთად შესაძლებელია.“ მოდით, ვაჩვენოთ, რომ ღმერთთან ერთად შეუძლებელი არაფერია. სწორედ ეს გააკეთა პავლემ.

მან კიდევ სხვა რამეც გააკეთა. ის სამი წლის განმავლობაში იმყოფებოდა ეფესოში და ჭირსა და ლხინს იზიარებდა იქაურ ხალხთან. იგი მათთან ერთად ტიროდა კიდეც. ესეც შესანიშნავი გამოვლინებაა ჩვენი რწმენის აღიარებისა და სახარების უწყებისა. სამყაროში, რომელიც სულ უფრო ეგოისტური ხდება, ჩვენ მოყვასის ჭირისა და ლხინის გაზიარება შეგვიძლია. როცა ვხედავთ, რომ ვინმე იტანჯება, ვდილობთ, ვანუგეშოთ იგი. ვცდილობთ, დავეხმაროთ და ხანგრძლივი სიხარული და მშვიდობა მივანიჭოთ მას. პავლე ამას სამი წელი აკეთებდა. ეფესელებს მოხვდათ ეს თვალში და გაიფიქრეს: „ეს კაცი მარტო ახალ თეორიას კი არ ქადაგებს, არამედ, მართლაც, ჩვენს გვერდით არის, ჩვენს ჭირ-ვარამს იზიარებს და ჩვენთან ერთად ტირის.“ ჩვენც სწორედ ასე შეგვიძლია ჩვენი რწმენა ვაღიაროთ, ვაღიაროთ იგი ისე, რომ მეორე ადამიანს ტანჯვის ატანაში დავეხმაროთ, იმათაც კი, ვინც ახალსამოციქულო ქრისტიანი არ არის. ჩვენს სამყაროს სჭირდება ადამიანები, ვინც სხვას ტანჯვის ატანაში დაეხმარება.

მეოთხე პუნქტი, რის გამოც პავლე ასე ძლიერი იყო. მოგვიანებით მან თავად თქვა: „მე დავამტკიცე, რომ საკუთარი ინტერესებით არ ვმოქმედებდი. ის, რაც გავაკეთე, ფულისა და სახელისათვის არ გამიკეთებია.“ ადამიანები უნდა მიხვდნენ, რომ ჩვენს შემთხვევაშიც ზუსტად ასეა. მათ უნდა იცოდნენ, რომ ჩვენ მხოლოდ იმით არ ვართ დაინტერესებულნი, რომ წევრთა რაოდენობა გავზარდოთ ან ჩვენი ეკლესიის შემოსავლები გავაუმჯობესოთ. და მართლაც, ეს არ არის ჩვენი ძირითადი ინტერესი. რაც ჩვენ გსურს, არის ის, რომ უფლის დიდება მოყვასთან ერთად გავიზიაროთ სიყვარულით. ეს არის ჩვენი ერთადერთი მოტივაცია. ზოგი ადამიანი ფიქრობს: „კარგი, თუ ბევრ ადამიანს მოვიწვევ ეკლესიაში და ყველა მისი წევრი გახდება, ჩემი სულიც მიაღწევს ხსნას.“ სწორი მოტივაციაა ეს? მე მგონი, არა, და ამას ორი მიზეზი აქვს: პირველი, ასეთ ადამიანებს ალბათ ჰგონიათ, რომ ხსნის დამსახურებას შეძლებენ. მაგრამ ხსნას ვერ დავიმსახურებთ მაშინაც კი, თუ ასი კაცის ახალსამოციქულო ქრისტიანად მოქცევას შევძლებთ; მეორეც, ღმერთი ჩვენგან მოყვასის სიყვარულს მოელის. მაგრამ თუ ჩემი მოტივაცია მხოლოდ ის იქნება, რომ საკუთარი თავის

ქადაგება დაასრულეს სამხ. მოციქულმა რიუდიგერ კრაუზემ (გერმანია) და მოციქულმა რონალდო მილჩუკმა (ბრაზილია)

ხსნას მივაღწიო, მაშინ ეს მოყვასის სულისადმი ჩემი სიყვარულით არ მოხდება. ქრისტეს მომავალი სასძლო ღვთისა და მოყვასის სიყვარულით არის აღვსილი. მე მიყვარს ჩემი მოყვასი. მინდა, რაც გამაჩნია, ყველაფერი გავუზიარო მას. სრულიად დარწმუნებული ვარ, რომ ადამიანებს ამის შეგრძნება შეუძლიათ. ისინი გრძნობენ: „ბევრს უნდა, რომ რაღაც მიზეზით მათ ეკლესიაში შევიდე; აქ კი ადამიანებს იმის სურვილი აქვთ, რომ მათ ეკლესიაში მივიდე, რათა იესო ქრისტესთან მაზიარონ; მათ სურთ, რომ ღვთის კურთხევა და დიდება ჩემთან ერთად გაიზიარონ; მათ მე ვუყვარვარ.“

როგორც ხედავთ, ჩვენც იგივე მდგომარეობაში ვიმყოფებით, როგორც პავლე. ღვთის სულის გზავნილი კი დღეს საღამოს შემდეგია: ამის გამო სულით ნუ დაეცემით. ირწმუნეთ ცოცხალ მოციქულთა მოღვაწეობისა. ვიდრე აქტიურად მოღვაწეობენ ისინი, ჯერ კიდევ შესაძლებელია იმ სულთა პოვნა, ვინც ხსნას ეძიებს - ამქვეყნად და იმქვეყნად. მოდით, ვილაპარაკოთ ჩვენს რწმენაზე, ჩვენს სარწმუნოებრივ გამოცდილებებზე და იმაზე, რასაც ღვთისმსახურებებზე განვიცდით. მოდით, სასწაულები მოვახდინოთ - ისეთი რამ გავაკეთოთ, რასაც სხვები შეუძლებლად თვლიან, მაგრამ რისი გაკეთებაც ჩვენ ძალგვიძს. გაჭირვებაშიც არ გვტოვებს სიხარული. ჩვენ მტკიცე რწმენა გაგვაჩნია, მიტევება შეგვიძლია. მსხვერპლის გაღება შეგვიძლია მაშინაც, როცა თავად არაფერი გვაქვს. ყოველგვარი განსხვავების მიუხედავად ერთნი ვართ. ღმერთთან ერთად შეუძლებელი არაფერია. და კიდევ, გვინდა, რომ ჭირი და ლხინი მოყვასთან ერთად გავიზიაროთ და დავანახოთ მას, რომ საკუთარი ინტერესებით კი არ ვმოქმედებთ, არამედ სიყვარულით. ამინ.“

ძირითადი აზრები

გაცნობიერებული გვაქვს რა ჩვენი ამოცანა და ვართ რა მოტივირებულნი მოყვასის სიყვარულით, განსაცდელის მიუხედავად ვაღიარებთ ჩვენს რწმენას სიტყვითა და საქმით. ამის მაგალითი ჩვენთვის პავლე მოციქულია.

- პავლეს არ შეუწყვეტია თავისი რწმენის აღიარება.
- პავლეს მეშვეობით ღმერთი სასწაულებს ახდენდა.
- პავლეს ადამიანებთან მათი ჭირისა და ლხინის გაზიარება შეეძლო.
- პავლეს საკუთარი ინტერესებით კი არ სურდა მოქმედება, არამედ სიყვარულით:

უცხოთა სიძულვილის ნაცვლად მოყვასის სიყვარული

ფოტო: © Smileus - Fotolia.com

უცხო შენი მოყვასია: ეს იყო ერთ-ერთი მთავარი გზავნილი პირველმოციქულ ჟან-ლუკ შნაიდერისგან გასულ წელს. და ეს დავალება ამ წლისთვისაც რჩება - ტერორისა და ომის, დევნილთა მოზღვავებისა და უცხოთა მიმართ მტრული დამოკიდებულების პერიოდში.

2015 წელი ისე მთავრდება, როგორც დაიწყო - სისხლიანი თავსასხმებით პარიზში: 7 იანვარს ისლამისტმა ექსტრემისტებმა სატირული ჟურნალის რედაქციაში და სუპერმარკეტში 16 ადამიანი მოკლეს. 13 ნოემბერს კი ტერორისტებმა რვა სხვადასხვა ტერაქტის დროს საფრანგეთის დედაქალაქში 130 კაცამდე დახოცეს. ახალსამოციქულო ეკლესიის რეაქცია ამაზე თანაგრძნობა და დაფიქრებაა.

ძალმომრეობა მთელ მსოფლიოში

ერთი მხრივ, საერთაშორისო ეკლესიის ხელმძღვანელი და სამხ. მოციქულები მსხვერპლისა და მათი ახლობლებისათვის ლოცულობენ; მეორე მხრივ, ეკლესიის წევრებს ისინი უფრო შორს ახედებენ: ყოველ კვირას ხდება მსგავსი რაღაც, „სადღაც მსოფლიოში და ყველგან საშინელებაა ეს“, ამბობს პირველმოციქული შნაიდერი. ამასთანავე, ის ნიგერიაზე და მალიზე, კენიაზე, ავღანეთსა და სირიაზე მიუთითებს.

იმას, თუ რას ნიშნავს ეს ადგილობრივებისათვის კონკრეტულად, nac.today-ის სტატიები გვიჩვენებს: მაგ. 4500-ზე მეტი ერთმორწმუნე და-ძმა ბარინგოს რეგიონიდან, კენიის აღმოსავლეთით, სამოქალაქო ომის მსგავს მდგომარეობას გაურბის. ნიგერიაში კი უარი თქვეს ღვთისმსახურებებზე მას შემდეგ, რაც ძალადობრივი ექსცესების დროს რამდენიმე ათეული ქრისტიანული ეკლესია ცეცხლის ალში გაეხვია.

ნუ შემოვუშვებთ ჩვენში სიძულვილს

თავდასხმების შემდეგ პირველმოციქულის ღვთისმსახურებანი მორწმუნეებს ნუგეშთან ერთად, უპ. ყოვლისა, მტრულად განწყობილი თანამოძმეების მიმართ ურთიერთობის ინსტრუქციებს სთავაზობს: „ღვთის სახლში სიძულვილის ადგილი არ არის“, თქვა ნოემბერში ცვიკაუში (ცენტრ. გერმანია) ჩატარებულ ღვთისმსახურებაზე ეკლესიის ხელმძღვანელმა. „იმის გამო, რომ ზოგიერთმა ქრისტიანმა რაღაც ცუდი ჩაიდინა, ვერ ვიფიქრებ, რომ ყველა ქრისტიანი ცუდია. ვერ შევიძულებ ასევე ყველა მუსლიმს მხოლოდ იმიტომ, რომ რამოდენიმე მუსლიმმა საშინელებები ჩაიდინა.“

პირველმოციქული შნაიდერი ყურადღების ცენტრში ისევ და ისევ მოყვასის სიყვარულს აყენებს: „მოყვასი ეს არის უცხო, რომელიც სულ სხვანაირია, რომელიც სხვა კულტურის მატარებელია, რომელსაც სხვა რწმენა აქვს, სხვა ბუნება, სხვა შეხედულებები, ეს არის შენი მოყვასი“, აღნიშნა მან ლუქსემბურგში ჩატარებულ ღვთისმსახურებაზე.

მოყვასი: მეგობარი, უცხო, მტერი

მეგობრები, უცხოები, მტრები - ყველანი „მოყვასები“ არიან. და როგორ შევიყვაროთ ისინი? ამასთან დაკავშირებით პირველმოციქულმა ნოემბერში, ბუენოს-აირესში ჩატარებულ ღვთისმსახურებაზე, ძალიან პრაქტიკული მითითებები მოგვცა: მეგობარს მივცეთ ის, რასაც მისგან მოველით თავად; გავუზიაროთ უცხოებს ის, რაც გვაქვს, და მტერს იგივე ხსნა ვუსურვოთ, რასაც საკუთარ თავს ვუსურვებთ.

მოყვასის ამ სიყვარულს ერთმორწმუნე და-ძმანი მთელ მსოფლიოში სხვადასხვაგვარად ახორციელებენ: პარიზის ჩრდ. მხარის ახალგაზრდები ლოცულობენ როგორც მსხვერპლისათვის, ასევე ტერორისტი თავდამსხმელებისთვისაც. სამხრ. აფრიკაში ერთმა ეპისკოპოსმა იმის მაგალითი აჩვენა, რომ არ უნდა სძულდეთ უცხო - და მან ეს სახლში სტუმრობით გააკეთა ძალადობის ერთ-ერთი ტალღის დროს. ევროპაში კი უამრავი ადამიანია ჩართული ლტოლვილთა დახმარების საქმეში, რომელთა ნაკადიც საომარი ზონებიდან კონცენტრირებულად წამოვიდა გერმანიისკენ.

ვაკეთოთ სიკეთე და სხვებსაც გავუზიაროთ

ასიათსობით ადამიანი გამოიქცა აღმ. ევროპიდან, აფრიკის ჩრდილოეთიდან და ახლო აღმოსავლეთიდან ევროპაში. მათი ბედი ყველას აღელვებს. სხვა ქრისტიანებთან, საინიციატივო ჯგუფებთან და ორგანიზაციებთან ერთად ახალსამოციქულო და-ძმანი ლტოლვილებს გასაჭირის შემსუბუქებაში ეხმარებიან: შემოწირულობების შეგროვებიდან პირად დახმარებამდე. ევროპელი სამხ. მოციქულებიც ეხმარებიან მათ პრაქტიკული რჩევებით და ფინანსურად. „ნუ დაივიწყებთ ქველმოქმედებას და ნურც იმას, რომ თქვენი სიკეთე უწილადოთ სხვებს“, ებრ. 13, 16-დან აღებული ამ სიტყვებით სწორედ ამისკენ მოუწოდა პირველმოციქულმა სექტემბერში როტვაილში (სამხრ. გერმანია) ჩატარებულ ღვთისმსახურებაზე. „ნურაფერს გავაკეთებთ ანგარიშიანობით“, უარყო მან ამით თვითრეკლამა და მისიონერობა როგორც მოტივი. „ეს უბრალოდ მოყვასისადმი წრფელი სიყვარულით უნდა გაკეთდეს“.

ეკლესიაში მარტო ბენეფიციარები ნუ ვიქნებით

კვირას, 2015 წლის 22 ნოემბერს, პირველმოციქულმა ჟან-ლუკ შნაიდერმა 500 ერთმორწმუნე და-ძმასთან ერთად საზეიმო ღვთისმსახურება ჩაატარა კამბოჯაში, რომლის დროსაც ცხრა მოციქული დამსახურებულ პენსიაზე იქნა გაშვებული, ხუთი ახალი მოციქული კი - ორდინირებული. ღვთისმსახურებაზე, რომელიც კამბოჯის დედაქალაქ პნომპენში ჩატარდა, ქადაგებას მან მოციქულთა საქმეებიდან აღებული ციტატა დაუდო საფუძვლად.

ფოტო: კანადის ახ.ს.-ე.

იესოს მიერ მივლენილი პირველი მოციქულები სამუშაოს შეუდგნენ. ძალიან მალე რელიგიური წინამძღოლების მხრიდან წინააღმდეგობებს წააწყდნენ, ასე შეაჯამა პირველმოციქულმა 2000 წლის წინანდელი მოვლენები. თუმცა მაშინ მათმა მუქარამ მოციქულებზე გავლენა ვერ მოახდინა. მათ თემებს მუშაობაში ხელშეწყობა სთხოვეს.

აქტიური მონაწილეობა ხსნის გეგმაში

მოციქულებს დღესაც უწევთ ბრძოლა თავიანთი მისიის შესასრულებლად. ამ საქმეში მათ თემები ეხმარებიან: ერთი მხრივ, იმით, რომ ლოცულობენ მოციქულთათვის და, მეორე მხრივ, კი იმით, რომ მორწმუნეები ცოცხლად მოწმობენ სახარებაზე.

„ღვთის შვილი არ უნდა დაკმაყოფილდეს იმით, რომ მხოლოდ ბენეფიციარი ან მეთვალყურე იყოს ეკლესიაში, ის მოციქულთა თანამშრომელი უნდა იყოს“, თქვა პირველმოციქულმა შნაიდერმა. თემის წევრები კლიენტები არ არიან, რომლებიც მხოლოდ მაშინ მოდიან ეკლესიაში, როცა რაღაც სჭირდებათ, იყიდიან და მერე ისევ სახლში მიდიან.

მივლინების მისია: სირთულეები და დახმარება

ძველად თემები მოციქულთა საზრუნავს ინაწილებდნენ. „ისინი ერთად იკრიბებოდნენ. ადიდიებდნენ ღმერთს და ერთად ლოცულობდნენ იმისათვის, რომ მოციქულებს მათი მივლინების მისიის შესრულება შეძლებოდათ. საკვირველი ის იქნებოდა, ასე რომ ელოცათ მათ: ‘საყვარელო ღმერთო, დაგვეხმარე პრობლემების გადაჭრაში, დახოცე ჩვენი მტრები.“ არა, თემის წევრები ღმერთს საჭირო ძალებს სთხოვდნენ მივლინების მისიის შესასრულებლად.

პირველმოციქულმა მხარდაჭერა ითხოვა: „მთელი ეკლესია მოწოდებულია იმისკენ, რომ მხარში ამოვუდგეთ მოციქულებს და დავეხმაროთ მათ საქმეში. როგორ გავაკეთოთ ეს? მოციქულებს მხარში ვუდგავართ მაშინ, როცა ღვთისმსახურებაზე მოვდივართ ყველა. პირველი ქრისტიანული თემივით ჩვენც ერთად ვიკრიბებით და ვადიდიებთ ღმერთს.“ და: „ამის შემდეგ მთელმა თემმა მეორედ ილოცა ერთად: ‘საყვარელო ღმერთო, მოგვეცი

ძალა ამ მძიმე დროს, განამტკიცე შენი მსახურნი და მოგვეცი ძალა, რათა ყოველგვარი სირთულის მიუხედავად მივლინების მისიის შესრულება შევძლოთ.“

იმჟამად ღმერთის პასუხი იმ ადგილის შემვრა იყო; ეს მისი სუფევის სიმბოლო იყო. დღესაც ავლენს ღმერთი თავის სუფევას მორწმუნეთა შორის: თავის სიტყვასა და წმიდა ზიარებაში.

აქტიურად და ქრისტეში სიხარულით

„დავეხმაროთ დღევანდელ მოციქულებს იმით, რომ პირველ ქრისტიანთა მაგალითს მივსდიოთ“, თქვა პირველმოციქულმა შნაიდერმა. ამასთან დაკავშირებით საერთაშორისო ეკლესიის ხელმძღვანელმა ხუთი დამახასიათებელი თვისება ჩამოთვალა:

აღმსარებლობით: „მოდით, გულში ჩავინერგოთ ღვთის სიტყვა და გაბედულად ვიუწყოთ იგი. ღვთის სიტყვა ყოფით ცხოვრებაში შეგვიძლია ვიუწყოთ. ჩვენ უბრალოდ ვერ გავაკეთებთ ყველაფერს, უბრალოდ ყველაფერს ვერ ვიტყვით“;

სიყვარულით: „როცა ჩვენი თანამოძმენი შემოგვხედავენ და იტყვიან: „შეხედე ამ ხალხს! ისინი ისეთი განსხვავებულები არიან. ზოგი ღარიბია, ზოგი მდიდარი, ზოგი ახალგაზრდა, ზოგი ხანდაზმული, ზოგი განათლებული, ზოგი არა ... ისეთი სხვადასხვანაირები არიან, მაგრამ მათ უყვართ ერთმანეთი და ერთნი არიან“, მაშინ ეკლესია მოციქულთა მოღვაწეობის მოწმობა იქნება“;

სიხარულით: „მოციქულები აუწყებდნენ მათ: ‘იესო თქვენთვის მოკვდა, იესო აღდგა. მან ეშმაკსა და სიკვდილზე გაიმარჯვა! ის კვლავ მოვა და თქვენ მის დიდებაში შესვლას შეძლებთ!’ თემმა მიიღო და ირწმუნა ეს გზავნილი. ამიტომაც ჰქონდათ მათ სიხარული ქრისტეში“;

გამუდმებით: „თემი თავდასხმებს განიცდიდა. ღვთის შვილებს განსაცდელისა და სირთულეების გადატანა უწევდათ. მაგრამ ისინი ერთგულნი დარჩნენ და განსაცდელით არ იმართლებდნენ თავს. ბრძოლისა და ტანჯვის დროსაც კი სახარებისამებრ ცხოვრობდნენ“;

მსხვერპლის გაღებით: „პირველმა ქრისტიანებმა იცოდნენ, რომ მოციქულებს თავიანთი მისიის შესასრულებლად მათი დახმარება სჭირდებოდათ. მათ შესაწირავი მიჰქონდათ მათთან, რადგან ისინი დავალების შესასრულებლად ესაჭიროებოდათ მოციქულებს. მათ იცოდნენ, რომ მოციქულებს ფულიც სჭირდებოდათ. და ეს დღესაც ასეა“.

ძირითადი აზრები

მოციქულთა საქმეები 4, 31

„როცა ლოცულობდნენ, შეიძრა ის ადგილი, სადაც ისინი იყვნენ შეკრებილნი, და ყველანი აღივსნენ სულიწმიდით და გაბედულად ლაპარაკობდნენ ღვთის სიტყვას“.

თემი მოციქულებს ღმერთის თაყვანისცემითა და ერთობლივი ლოცვით ეხმარება საქმეში. ნებისმიერი ღვთის შვილი მოწოდებულია, იყოს მოციქულთა თანამშრომელი ისე, რომ აღიაროს თავისი რწმენა და დამტკიცებული სიყვარული, სიხარული ქრისტეში და თავისი სიმტკიცე და ერთგულება მსხვერპლის გაღებით დაამტკიცოს.

საიდუმლონი

ფოტო: ოლივერ რიუტენი

2015 წელს გამოვიდა ახალსამოციქულო ეკლესიის კატეხიზმო კითხვებისა და პასუხების ფორმით. მთლიანობაში 750 კითხვისა და პასუხისაგან „კომიუნიტი“ ამონარიდის სახით რამოდენიმე კითხვასა და პასუხს წარმოგიდგენთ - ამ გამოცემაში საუბარი იქნება საიდუმლოებზე და სიკვდილის შემდეგ სიცოცხლეზე.

რა არის საიდუმლოები?
ღვთის წყალობის გადაცემა ძირითადად საიდუმლოთა მეშვეობით ხდება. ამ მღვდელმსახურების დროს, რომელიც ადამიანზე ადამიანის საშუალებით ხორციელდება, ღმერთი მათ მიმღებს ხსნას ანიჭებს.

რას ემსახურება საიდუმლოები?
საიდუმლოები ემსახურება იმას, რომ ადამიანმა ხსნას მიაღწიოს: საიდუმლოთა მეშვეობით მას ღმერთთან სასიცოცხლო თანაზიარებაში იღებენ და იქ ტოვებენ. სამი საიდუმლოს: წყლით წმიდა ნათლობის, სულიწმიდით აღბეჭდვისა და წმიდა ზიარების მიღება ადამიანს ქრისტეს მეორედ მოსვლისას უფალთან გაერთიანების შესაძლებლობას უხსნის.

რა ხდება წყლით წმიდა ნათლობის დროს?
წყლით წმიდა ნათლობის მეშვეობით ადამიანის ურთიერთობა ღმერთთან საფუძვლიანად იცვლება. ჩამოერეცხება რა მემკვიდრეობით მიღებული ცოდვები, მონათლულის ღმერთთან სიშორიდან გამოყვანა ხორციელდება: ის ღმერთს უახლოვდება და ქრისტიანი ხდება. მისი რწმენისა და მის მიერ ქრისტეს აღიარების წყალობით იგი ქრისტეს ეკლესიის წევრი ხდება.

რა უთხრა იესომ მოციქულებს ნათლობასთან დაკავშირებით?
აღდგომის შემდეგ იესომ მოციქულებს მისიონერული დავალება მისცა: „ახლა წადით და მოიმოწაფეთ ყველა ხალხი, მონათლეთ ისინი მამისა და ძისა და სულიწმიდის სახელით“ (მათ, 28, 19). მაშასადამე, ნათლობა მოციქულთა ამოცანას წარმოადგენს. ამასთანავე, ახალი აღთქმის მიხედვით „ნათლობაში“ ხშირად წყლითა და სულიწმიდით ორნაწილიანი ნათლობა იგულისხმება (შევ. საქმე 8, 14). წყლით წმიდა ნათლობა და სულით ნათლობა ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია.

ვის შეუძლია მიიღოს წყლით წმიდა ნათლობა?
ნებისმიერ ადამიანს შეუძლია მიიღოს წყლით წმიდა ნათლობა. ამის წინაპირობას იესო ქრისტესა და სახარების რწმენა წარმოადგენს.

რატომ შეიძლება, რომ ბავშვებიც მოინათლონ?
იესოს სიტყვები: „გამოუშვით ბავშვები და ნუ დაუშლით ჩემთან მოსვლას; ვინაიდან მაგათნაირებისაა ღვთის სასუფეველი“ (მარკ. 10. 14), იმაზე მიუთითებს, რომ ბავშვებისთვისაც უნდა იყოს მისაწვდომი ღვთის კურთხევანი. ამაში საიდუმლოებიც შედის. ახალ აღთქმაში მოცემულია მოწმობანი იმაზე, რომ ოჯახები ინათლებოდნენ: „მაშინვე მოინათლნენ ის და ყველა მისიანი ... და ხარობდა მთელ თავის სახლეულთან ერთად, რომ იწამა ღმერთი“ (საქმე 16, 33. 34; შევ. ასევე 16,

15). ოჯახებში ბავშვებიც შედიოდნენ. სწორედ აქედან ჩაეყარა საფუძველი ბავშვების მონათვლის ქრისტიანულ ტრადიციას. გარდა ამისა, ბავშვების ნათლობის დროს აღმზრდელები თავადაც აღიარებენ იესო ქრისტეს რწმენას და ბავშვების სახარებისამებრ აღზრდის პასუხისმგებლობას იღებენ საკუთარ თავზე.

ძალაშია სხვა ეკლესიაში ჩატარებული ნათლობა?
დიახ, წყლით ნათლობა „ქრისტეს „ერთი“ ეკლესიის ყველა სფეროშია შესაძლებელი და მოქმედია. წყლით ნათლობა სრული ხსნის გზაზე გადადგმული პირველი ნაბიჯია. იგი მოქმედია და ძალაშია ყველგან, სადაც წყლით ნათლობა ღვთის, მამისა და ძისა და სულიწმიდის სახელით ხდება. ამდენად, წყლით ნათლობა მთლიანად ეკლესიას აქვს მინდობილი. ამის საფუძველს ზოგადად ხსნის ღვთიური ნება წარმოადგენს.

საიდან მოდის ცნება „წმიდა ზიარება“?
ცნება „წმიდა ზიარება“ იმ სიტუაციაზე მიუთითებს, რომელშიც იესომ ეს საიდუმლო დააწესა: მისი ჯვარცმის წინა საღამოს მან მოციქულებთან ერთად პასექი აღნიშნა.

რა ხდება სეფისკვერთა კურთხევის დროს?
სეფისკვერთა კურთხევის დროს იესო ქრისტეს ხორცი და სისხლი მათში სუფევს. კურთხევის შედეგად პური და ღვინო არ იცვლის თავის სუბსტანციას, რაც იმას ნიშნავს, რომ პური და ღვინო არ გარდაიქმნება. უფრო იესოს ხორცისა და სისხლის სუბსტანციის პურსა და ღვინოში შესვლა ხდება. ამ მოვლენას ასევე „კონსუბსტანციაციასაც“ უწოდებენ. წმიდა ზიარების დროს პური და ღვინო იესოს ხორცისა და სისხლის ხატებას ან სიმბოლოს კი არ წარმოადგენს, არამედ აღდგომის შემდეგ იესო ქრისტეს სისხლი და ხორცი ნამდვილად სუფევს მათში.

სუფევს იესო ქრისტეს მსხვერპლი წმიდა ზიარებაში?
დიახ, წმიდა ზიარებაში სუფევს იესო ქრისტეს მსხვერპლი. თუმცა ეს მსხვერპლი აღარ განმეორდება, არამედ მისი მხოლოდ „ერთგზის შეწირვა“ მოხდა (ებრ. 10, 10. 14).

როგორი ზემოქმედება აქვს წმიდა ზიარებას?
წმიდა ზიარება იესო ქრისტესთან შინაგან თანაზიარებას აყალიბებს. ის ღვთის ძის არსსა და ძალას გადმოგვცემს. გარდა ამისა, წმიდა ზიარების მიღება მორწმუნეთა ურთიერთშორის ერთობასაც ემსახურება, ვინაიდან ისინი ერთად ეთვისებიან იესო ქრისტეს არსს. ამდენად, წმიდა ზიარება ქრისტეს მეორედ მოსვლის მომზადების საქმეში მნიშვნელოვან საშუალებას წარმოადგენს.

რა არის სულიწმიდით აღბეჭდვა?
სულიწმიდით აღბეჭდვა არის საიდუმლო, რომლის მეოხებითაც მორწმუნე მოციქულის ხელდასხმითა და კურთხევით სულიწმიდის მადლს იღებს. ის ღვთის შვილი ხდება და არის მოწოდებული პირმშოობისკენ.

როგორ ხდება სულიწმიდით აღბეჭდვის საიდუმლოს აღსრულება?
სულიწმიდით აღბეჭდვის საიდუმლოს აღსრულება მოციქულთა მეშვეობით ხდება, როცა ისინი მონათლულს ღვთის, მამისა და ძისა და სულიწმიდის სახელით სულიწმიდის მადლს მოჰფენენ. ამ დროს ისინი მონათლულს თავზე ხელებს ადებენ და ლოცულობენ.

რა შედეგები მოსდევს სულიწმიდით აღბეჭდვას?
სულიწმიდით აღბეჭდვისას ადამიანი მუდმივად სულიწმიდით აღვსილი რჩება. ღმერთი მას თავისთან თანაზიარებას სწყალობს; ამავე დროს ადამიანს ღვთის ძალა, ღვთის სიცოცხლე და ღვთის სიყვარული ენიჭება: „ღვთის სიყვარული ჩაგვესახა გულებში სულიწმიდის მეშვეობით, რომელიც მოგვეცა ჩვენ“ (რომ. 5, 5). სულით აღბეჭდილი ღვთის საკუთრება ხდება; ღვთის სული სამუდამოდ მკვიდრდება მასში (შევ. რომ. 8, 9). ამიერიდან ადამიანი ღვთის შვილია და პირმშოობისკენ არის მოწოდებული: მაშადასამე, ხელახლა დაბადებას აწმყოში თავისი შედეგები ღვთისშვილობაში აქვს, მომავალში კი პირმშოობაში ექნება. როგორც ღვთის შვილი, მორწმუნე ღვთის მემკვიდრე და ქრისტეს თანამემკვიდრეა. „შვილური სული“, რომელიც სულიწმიდის მეშვეობით მოქმედებს ადამიანში, ღმერთს ნდობით მიმართავს როგორც „საყვარელ მამას“. როგროც კი სულიწმიდით აღბეჭდილი სულიწმიდას განვითრებისათვის ადგილს დაუთმობს, მაშინვე განვითარდება ღვთიური სათნოებანი. მას მხატვრულად „სულიწმიდის ნაყოფს“ უწოდებენ (შევ. გალ. 5, 22). .

სატიტულო ფურცელი
გამომცემელი: ჟან-ლუკ შნაიდერი, იუბერლანდშტრასე 243, CH-8051 ციურიხი/ შვეიცარია
შპს ფრიდრიხ ბიშოფის გამომცემლობა, ფრანკფურტერშტრასე 233, 63263 ნოი-იზენბურგი/გერმანია
რედაქტორი: პეტერ იოჰანინგი

სიცოცხლე სიკვდილის შემდეგ

არსებობს სიცოცხლე სიკვდილის შემდეგ?
დიახ, ადამიანი არის როგორც ხორციელი, ასევე სულიერი არსება; ის ხორცის, სამშვინველისა და სულის ერთიანობას წარმოადგენს. ადამიანის სხეული მოკვდავია, იგი წარმავლობას ექვემდებარება. ის მიწიდან არის აღებული და მიწადვე იქცევა (შევ. დაბ. 3, 19). სამშვინველი და სული კი, პირიქით, სიკვდილის შემდეგაც აგრძელებენ სიცოცხლეს, ე. ი. უკვდავები არიან. მაშასადამე, ადამიანის პიროვნულობა - არსებითი, რაც მას ახასიათებს, რასაც იგი განიცდის, რაც უგრძვნია, რაც უფიქრია ან რაც ირწმუნა - ხორციელი სიკვდილის შემდეგაც უცვლელი რჩება.

„რადგანაც ღმერთმა უხრწნელად გამოსახა, შექმნა ადამიანი, თავისი მარადიულობის ხატად შექმნა იგი“ (სიბრძ. 2, 23).

რა არის სიკვდილი?
ერთმანეთისგან განასხვავებენ ადამიანის ხორციელ სიკვდილსა და მის სულიერ სიკვდილს. ხორციელი სიკვდილი ამქვეყნიური ცხოვრების დასასრულს ნიშნავს. როცა სიკვდილი მოდის, სამშვინველი და სული ტოვებს ხორციელ სხეულს. სულიერი სიკვდილი ადამიანის ღმერთთან დაშორებაა. ის ცოდვის შედეგია. როცა ბიბლია „მეორე“ სიკვდილზე (შევ. გამოცხ. 20, 6; 21, 8) ლაპარაკობს, ამით ღმერთთან დაშორებას გულისხმობს, რაც უკანასკნელი სამსჯავროს შემდეგ ამოქმედდება.

უკანასკნელი სამსჯავრო: „ვინაიდან ცოდვის საზღაური სიკვდილია, ხოლო ღვთის მადლი - საუკუნო სიცოცხლე ჩვენს უფალში, იესო ქრისტეში“ (რომ. 6, 23).

ვის აქვს ხელმწიფება სიკვდილზე?
სიცოცხლისა და სიკვდილის უფალი სამერთი ღმერთია. იესო ქრისტემ სიკვდილს თავისი აღდგომით სძლია. ამით მან ადამიანებს საუკუნო სიცოცხლესთან მისვლის შესაძლებლობა მისცა: „... რომელმაც [ქრისტე იესომ] გააბათილა სიკვდილი და სახარებით გაანათლა სიცოცხლე და უხრწნელება“ (2. ტიმ. 1, 10).

რა მნიშვნელობა აქვს იესო ქრისტეს აღდგომას?
იესო ქრისტეს აღდგომა მკვდართა აღდგომის

ფოტო: ფრანკ შულტი

საფუძველს წარმოადგენს. აღდგა რა იესო, აღდგებიან მკვდრებიც, „ზოგი საუკუნო სიცოცხლისათვის, ზოგი საუკუნო გმობისთვის და შერცხვენისთვის“ (დან. 12, 2).

„აი, მე საიდუმლოს გეუბნებით: ყველანი არ განვისვენებთ, მაგრამ ყველანი შევიცვლებით ერთ წამში, თვალის დახამხამებაზე, უკანასკნელ საყვირზე. ვინაიდან დასძახებს საყვირი და მკვდრები აღდგებიან უხრწნელად, ხოლო ჩვენ შევიცვლებით“ (1. კორ. 15, 51-52).

არსებობს წმიდა წერილში მითითებანი სიკვდილის შემდეგ სიცოცხლეზე?

ხორციელი სიკვდილის შემდეგ სიცოცხლის არსებობაზე ჯერ კიდევ ძველ აღთქმაშია მინიშნებული, ახალი აღთქმა კი არაერთხელ მოწმობს მასზე. მაგ., 1. პეტ. 3, 19-20-ში ნათქვამია: „რომლითაც წავიდა [იესო ქრისტე] და უქადაგა საპყრობილეში სულებსაც, ოდესღაც ურჩნი რომ იყვნენ, როდესაც ღვთის სულგრძელება კიდევ იცდიდა, ნოეს დღეებში, სანამ შენდებოდა კიდობანი, რომელშიც ცოტა, ესე იგი, რვა სული გადაურჩა წყალს“.

სად იმყოფებიან ადამიანები ხორციელი სიკვდილის შემდეგ?

გარდაცვლილი ადამიანის სამშვინველი და სული მკვდართა საუფლოში ხვდება, მას „საიქიოსაც“ ვუწოდებთ.

არსებობს მკვდართა რეინკარნაცია?

არა, წარმოდგენები დედამიწაზე განმეორებითი სიცოცხლის (რეინკარნაცია) შესახებ, იქნება ეს ადამიანის სახით თუ ცხოველის ან მცენარის სახით, ეწინააღმდეგება ბიბლიურ ტექსტებს და ამდენად, სახარების შინაარსს. „... ადამიანებს ერთხელ უწერიათ სიკვდილი ...“ (ებრ. 9, 27).

ქრისტიანული მოძღვრების მიხედვით ცნება „რეინკარნაცია“ არ აღნიშნავს დედამიწაზე ადამიანის განმეორებით სიცოცხლეს სხვადასხვა სახით.

შეიძლება გარდაცვლილებთან კავშირის დამყარება?

კავშირს გარდაცვლილებთან მათზე მოგონებითა და მათთვის ლოცვით ვამყარებთ. მკვდართა სულების გამოძახებითა და მათი გამოკითხვით, ასევე მათზე შელოცვით, მიცვალებულებთან კავშირის დამყარება ღვთისგან დაგმობილია და ამდენად, ცოდვად ითვლება: „არ იპოვებოდეს შენში ... არც მესულთანე ... და არც მკვდართა გამომკითხველი“ (რჯლ. 18, 10-12).

რა მდგომარეობაში არიან საიქიოში მყოფი სულები?

საიქიოში მყოფი სულების მდგომარეობა ღმერთთან მათ სიახლოვეს ან სიშორეს გამოხატავს. ადამიანის სული მისი ხორციელი სიკვდილით არ იცვლება. რწმენა ან ურწმუნოება, შემრიგებლობა ან შეურიგებლობა, სიყვარული ან სიძულვილი ადამიანს არა მარტო ამქვეყნად აყალიბებს, არამედ საიქიოშიც. ამ მდგომარეობაზეა ლაპარაკი იესოს იგავში მდიდარი კაცისა და გლახაკი ლაზარეს შესახებ (შევ. ლუკ. 16, 19-31), როცა საუბარია, ერთი მხრივ იმ ადგილზე, სადაც დაცულია გარდაცვლილის სული და, მეორე მხრივ, იმ ადგილზე, სადაც იტანჯება იგი. ისიც შესაძლებელია, რომ გარდაცვლილებმა მათი მდგომარეობა გააცნობიერონ. ტანჯვაში მყოფებს დახმარების იმედი აქვთ.

შესაძლებელია საიქიოში მყოფ სულთა მდგომარეობის შეცვლა?

დიახ, ქრისტეს მიერ გაღებული მსხვერპლის შემდეგ საიქიოში მყოფ სულთა მდგომარეობა სასიკეთოდ შეიძლება შეიცვალოს. სიკვდილის შემდეგ იესო ქრისტე მკვდართა საუფლოში ჩავიდა და იქადაგა. სახარების უწყება შეცვლის შესაძლებლობას შეიცავს იმათთვის, ვინც რწმენით მიიღებს მას. მაშასადამე, ხსნის მიღწევა ადამიანის ხორციელი სიკვდილის შემდეგაც შესაძლებელია.

როგორ შეიძლება, რომ საიქიოში მყოფი სულები შეიცვალონ?

საიქიოში მყოფი ის სულები, რომლებსაც არასოდეს სმენიათ სახარების შესახებ, არ განუცდიათ ცოდვათა მიტევება და არ მოჰფენიათ საიდუმლონი, ღვთისგან სიშორის მდგომარეობაში იმყოფებიან. ამ მდგომარეობის გადალახვა მხოლოდ იესო ქრისტესა და მისი მსხვერპლისადმი რწმენითა და საიდუმლოთა მოფენით არის შესაძლებელი.

შეგვიძლია, რომ გარდაცვლილებს ხსნის მოპოვებაში დავეხმაროთ?

დიახ, ჩვენ შეგვიძლია დაუხსნელი სულებისათვის ვილოცოთ და ვთხოვოთ უფალს, რომ დაეხმაროს მათ. ასევე შეგვიძლია ვითხოვოთ, რომ სულები იესო ქრისტეს რწმენამდე მივიდნენ და გაიხსნან და მზად იყვნენ ხსნის მისაღებად, რომლის მინიჭებაც ღმერთს მათთვის სურს. ქმნიან რა მკვდრები და ცოცხლები ქრისტეში ერთობას, ისინი ამქვეყნადაც და იმქვეყნადაც ქრისტეს აზრისამებრ მოქმედებენ, ე. ი. ლოცულობენ დაუხსნელი სულებისათვის. რაც შეეხება გამოსყიდვას, ეს მხოლოდ და მხოლოდ იესო ქრისტეს მიერ ხორციელდება.

ცნება „სააქაო“ ზოგადად ეხება ყველა სფეროს, პროცესსა და მდგომარეობას, რომლებიც მატერიალურ სამყაროშია ჩადებული.

მტრის სიყვარულის შესახებ (ლუკ. 6, 27-36)

მას შემდეგ, რაც იესომ
თორმეტ მოწაფეს
მოციქულად მოუწოდა, ბევრ
ადამიანს დაელაპარაკა. მან
აუხსნა მათ, თუ როგორ
უნდა მოქცეულიყვნენ:

გიყვარდეთ თქვენი მტრები;
სიკეთე გაუკეთეთ თქვენს
მოძულეებს;
აკურთხეთ თქვენი
მაწყევარნი;
ილოცეთ თქვენსავ
შეურაცხმყოფელთათვის;
თუ ვინმე ერთ ლოყაში
გაგარტყამს, მეორეც
შეუშვირე;
ვინც მოსასხამს წაგართმევს,
პერანგიც მიეცი;
თუ ვინმე რამეს გთხოვს,
მიეცი;
თუ ვინმე რამეს
გამოგართმევს, რაც შენ
გეკუთვნის, უკან ნუღარ
მოსთხოვ;
ისე მოექეცით ადამიანებს,
როგორც თქვენ გინდათ, რომ
მოგექცნენ;
რა არის განსაკუთრებული
იმაში, რომ ის ადამიანები
გიყვარდეთ, ვისაც თქვენც
უყვარხართ;
თავისი მეგობრები
ყველას უყვარს.

რა არის განსაკუთრებული
იმაში, რომ სიკეთეს იმ
ადამიანებს უკეთებდეთ,
რომლებიც თქვენც
გიკეთებენ სიკეთეს?
ყველა ასე იქცევა.
რა არის განსაკუთრებული
იმაში, რომ იმ ადამიანებს
აძლევთ, ვისგანაც მოელით,
რომ ისინიც მოგცემენ
რაღაცას?
ყველა ასე იქცევა.
სწორედ რომ თქვენი მტრები
უნდა გიყვარდეთ;
სწორედ იმ ადამიანებს
უნდა გაუკეთოთ სიკეთე
და მისცეთ რამე, რომლებიც
არაფერს მოგცემენ;
ღმერთი საზღაურს მოგცემთ
ამისთვის - თქვენ უზენაესის
შვილები იქნებით. ღმერთი
კეთილია უმადური და
ბოროტი ადამიანების
მიმართაც.
იყავით ისეთივე
გულმოწყალენი, როგორიც
მამა-ღმერთია.

ინფორმაციისთვის: მტრის სიყვარულის მცნება ერთი გრძელი ქადაგების ნაწილია, რომელიც იესომ მრავალი ადამიანის წინაშე წარმოსთქვა. ლუკას სახარების მიხედვით ეს სიტყვა ვაკე ადგილას იქნა წარმოთქმული და ამიტომაც მას „ქადაგება ვაკეზე“ ეწოდება. ის მათეს სახარებაში მოცემულ მთაზე ქადაგებას ჰგავს. ორივე ნეტარცხებებით იწყება და მტრის სიყვარულის მცნებით გრძელდება, სრულდება იმის შეგონებით, რომ მოსმენილი საქმედ უნდა იქცეს.

მირელა ფირტუნატი

სტუმრად კოტოსაიასთან (გოგონა) ნადიში (ფიჯის რესპუბლიკა)

სიტყვა, რომელსაც ჩვენს კუნძულზე ფიჯის ენაზე ხშირად ვიყენებთ, არის „ბულა“, რაც „Hallo“-ს ნიშნავს. „ნი სა ბულა ვინაკა“ ნიშნავს: „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება“. უცხოელი სტუმრები ნადის საერთაშორისო აეროპორტში ჩამოდიან ხოლმე თვითმფრინავით. ის მთავარ კუნძულ ვიტი-ლევუზე მდებარეობს, იქვე ახლოს ვცხოვრობთ ჩვენც.

მე მხოლოდ ერთხელ ვიფრინე თვითმფრინავით. მაგრამ ერთ დღესაც პილოტი მინდა გავხდე და ძალიან ვცდილობ, რომ ეს ოცნება სინამდვილედ ვაქციო. მეშვიდე კლასში ვარ და ვარ თორმეტი წლის. ჩემი სახელია კოტოსაია. მარცხნივ ჩემს გვერდით კამარია, ჩემი საუკეთესო მეგობარი. ორივეს სიმღერა გვიყვარს.

ძალიან გვიხარია ის, რომ ახალგაზრდების შეხვედრაზე ერთად წავალთ, როცა კონფირმაციას გავივლით. მომწონს საკვირაო სკოლა და ვამაყობ იმით, რომ ბავშვთა გუნდში ვმღერი. დედაჩემი კარალაინიც მღერის ჩვენს თემში ნათალაუში. 2007 წელს პირველმოციქული ვილჰელმ ლებერი გვესტუმრა ნათალაუში. რამხელა კურთხევაა!

ჩვენ ნადიში ვცხოვრობთ, ჩემი ბებიისა და ბაბუის სახლში. ისინი ფიჯის კუნძულებზე პირველი

ახალსამოციქულო ქრისტიანები იყვნენ. ბაბუაჩემი სამხ. უხუცესია. ფიჯის რესპუბლიკა 300-ზე მეტი კუნძულისგან შედგება, მაგრამ მხოლოდ მესამედია დასახლებული და არც ყველა კუნძულს ჰყავს საკუთარი თემი.

ჩემი საყვარელი საჭმელებია ტაპიოკა და ტარო თევზით ან ქათმის ხორცით. ძალიან გემრიელია, როცა მას ლოვოში, თიხის ღუმელში, აცხობენ. ამისათვის საჭმელს ბანანის ფოთლებში ახვევენ, აწყობენ თიხის ჯამში და რამოდენიმე საათი ტოვებენ გახურებულ ქვებზე, ვიდრე მზად არ იქნება. ზოგჯერ მე თვითონაც ვიჭერ ხოლმე თევზს.

და-ძმა არ მყავს, მაგრამ

საფოსტო ყუთი

როგორ ფიქრობთ, რა არის მტერი?

„მტერი არის ადამიანი, რომელსაც სხვისთვის კარგი არ უნდა. მტერი არის აგრეთვე შავბნელი აზრი, რომლის თვიდან მოშორებასაც ვერ ახერხებს კაცი, ანდა დიდი შიში, რომელსაც ვერ ერევა ადამიანი.“
მელინა, 11 წლის, ოსტელსჰაიმიდან



„მტერია ის, ვინც მეორე ადამიანს დანით ემუქრება.“
ზინა აუგსბურგ-ლეხჰაუზენიდან

„მტერი ის არის, ვისაც არ უნდა, რომ მქონდეს ლეპტოპი ან ჯიბის ფული. ის ყველაფერს აკეთებს, რომ მე და ჩემმა მეგობრებმა ცუდად ვიგრძნოთ თავი.“
ანაისე, 13 წლის მაურიციუსიდან

„სკოლაში ვიღაცამ ბურთი მომპარა. შორიდან დამანახა, მაგრამ უკან აღარ დამიბრუნა.“
იონათანი, 10 წლის მაურიციუსიდან

„მტერი ის არის, ვინც ვერ მიტანს და ვისთანაც საერთო არაფერი მაქვს. სკოლაში მყავს რამოდენიმე მტერი, ისინი ცუდ რაღაცეებს ამბობენ ჩემზე.“
ანასტასია, 10 წლის მაურიციუსიდან

სამაგიეროდ ბევრი მეგობარი და რამოდენიმე შინაური ცხოველი მყავს. მაგ. ძაღლი სახელად ხუთშაბათი და ორი ძროხა, რომელთაც ბატისტა და ბეტი



ჰქვიათ.

მამაჩემი ალენისა მიწის მუშაა. შაქრის ლერწამი, ბანანი და ქოქოსის პალმა ფიჯელების ძირითად საკვებს წარმოადგენს. ეს მცენარეები ჩვენი ქვეყნის დროშაზეა გამოსახული მტრედთან ერთად. თითქმის 100 წლის განმავლობაში ფიჯი ბრიტანეთის კოლონია იყო, ამიტომაც დროშის მარცხენა ზედა მხარეს ბრიტანეთის დროშაც ჩანს. ჩვენი დროშა პირველად 1970 წლის 10 ოქტომბერს იქნა აღმართული; ამ დღეს ფიჯი დამოუკიდებელი გახდა.

პროგრამა

03.04.2016	ბუენოს-აირესი (არგენტინა)
04.04.2016	ბაია-ბლანკა (არგენტინა)
06.04.2016	პუკალპა (პერუ)
10.04.2106	ბოგოტა (კოლუმბია)
29.04.2016	პუენტ-ნუარი (კონგოს დრ.)
30.04.2016	პუენტ-ნუარი (კონგოს დრ.)
05.05.2016	ლიორახი (გერმანია)
08.05.2016	სტოკჰოლმი (შვედეთი)
15.05.2016	ფრანკფურტი (გერმანია)
22.05.2016	ტამა-ტოკიო (იაპონია)
29.05.2016	ტეჯონი (კორეა)
12.06.2016	მეცი-გრინი (საფრანგეთი)
19.06.2016	ჰანოვერი-ლისტი (გერმანია)
25.06.2016	ბელცი (მოლოდოვა)
26.06.2016	კიშინიოვი (მოლოდოვა)

New Apostolic Church
International